1 მარტი

პარასკევი
2024

დიდმარხვის ჟამის II კვირა [II] ი

დაბ 37,3-4.12-13.17-28; ფს 104; მთ 21,33-43.45-46

რემი ძისა მოერიდებათო მთ 21,37

იესო ებრაელი ხალხის მეთაურებთან მართავს საუბარს. ისინი არ ცნობენ მამის სიყვარულს. სწორედ თავიანთი ამპარტავნებით და ეგოიზმით გამოწვეული არცოდნის გამო ვერ მიუღიათ იესო, უფრო მეტიც, სძულთ იგი. ხოლო მან, ძემ ღმრთისამ, კარგად უწყის მათი ხელით რომ ელის სიკვდილი და მაინც, საკუთარ სიცოცხლეს მათთვისაც სწირავს. მოწყალეო იესო, მიყვარხარ მათ მაგივრადაც, ვისაც შენ არ უყვარხარ!

2 მარტი

შაბათი
2024

დიდმარხვის ჟამის II კვირა [II] ი

მიქ 7,14-15.18-20; ფს 102; ლკ 15,1-3.11-32

მამამ დაინახა და შეებრალა ლკ 15,20

დაინახა, ვინაიდან მას ელოდებოდა. მამას არასოდეს განელებია სიყვარული თავისი გზააბნეული ძის მიმართ, რომელიც ახლა შინ ბრუნდება. იცოდა, რომ განშორებული ძე, მხოლოდ საკუთარ თავს იღუპავდა, ამის გამო სწუხდა და სულმოუთქმელად ელოდა მის დაბრუნებას. მეც მოლოდინში ვიმყოფე-ბი, ჩემი დაოსებული მდგომარეობის გამო. ჩემი მონანიებით სიხარულს მოვგვრი მამას და ჩემს თავსაც.

დიდმარხვის III კვირადღე, «ბ», [III], ი

გამ 20,1-17; ფს 18; 1კორ 1,22-25; იო 2,13-25

დედის დღე

რა ნიშანს გვიჩვენებ, ამას რომ აკეთებ? იო 2,18

იესო ყველა მეკერმეს და მტრედებით მოვაჭრეს გაყრის ტაძრიდან – თავისი მამის სახლიდან: არ უშვებს, რომ მამის სახლი სავაჭრო ადგილად იქცეს! მეთაურები მისგან ნიშანს ითხოვენ, თუ რა ავტორიტეტით სჩადიოდა ამას. ნიშანს კი თავად მამა გასცემს, როდესაც, მას შემდეგ, რაც ბოროტებას დამონებულნი სასიკვდილოდ გაიმეტებენ, მკვდრეთით აღადგენს მას: ძე ღმრთისას, რომელიც მთელი ჭეშმარიტებით გააცხადებს ზეციერ მამას.

წმ. კაზიმირი, ლიეტუვის თავადი, +1484 გროდნოში

4მეფ 5,1-15; ფს 41-42; ლკ 4,24-30

ქანიბანე და ქანიწმინდები 4მეფ 5,13

მსახურები თავმდაბლობით და უბრალოებით შეახსენებენ წინასწარმეტყველის სიტყვებს ჯარის მეთაურ ნაამანს, კეთროვანს. გარკვეული დაბნეულობის შემდეგ, იგი რწმუნდება და ასრულებს იმას, რასაც ელისე ეუბნება: განიბანება მდინარეში, ამ მორჩილებით განიკურნება და განიწმინდება კიდეც კეთრისგან.

მადლობა, იესო, რამეთუ წყალობას მოიღებ თავმდაბლებზე და მათ შემწეებზე.

5 მარტი

სამშაბათი
2024

დიდმარხვის ჟამის III კვირა [III] ი

დან 3,25.34-43; ფს 24; მთ 18,21-35

სულგრძელი იყავ რქმს მიმართ
და ყველაფერს გადაგიხდი მთ 18,26

იგავში, პატრონმა, კარგად იცის, რომ მის მსახურს არ შეუძლია მისი დიდძლი ვალის დაფარვა. გულმოდგინე და სინანულით სავსე ლოცვის გამო ის ყველაფერს პატიობს. ეს სურათი კარგად ასახავს ღმერთის წინაშე ჩვენ მდგომარეობას. ჩვენ ვალში ვართ მასთან სიცოცხლის გამო, მისი ძის – იესოს გაცნობის გამო, ყველაფრის გამო. შევთხოვოთ პატიება ამ დიდმარხვის ჟამს, რამეთუ ხშირად მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვცხოვრობთ და არა მისთვის, და ცუდად ვეპყრობით ჩვენს და-ძმებს.

6 მარტი

ოთხშაბათი:
2024

დიდმარხვის ჟამის III კვირა [III], ი

(22.II) წმმ. ცხრანი ყრმანი კოლაელნი, VIს, წამებულნი

რჯლ 4,1.5-9; ფს 147; მთ 5,17-19

ეაფრთხილდი, რომ არ დაეაფიწყდეს ის, რაც იხილეს შენმა თვალებმა *რჯლ 4,9*

ხალხი სინაის მთას უახლოვდებოდა, სწორედ აქ უნდა მიეღოთ „ათი სიტყვა“. ღმერთი იყენებს ამ შემთხვევას და იწვევს მოსესა და მის ხალხს, რათა არასოდეს დაივიწყონ ის სასწაულები, რაც მათ თვალწინ ხდებოდა ეგვიპტესა და უდაბნოში. ერთია უფალი! სურს დაეხმაროს მათ, რომ უერთგულონ მის აღთქმებს და თავი დაიცვან იმ ხალხთა მომხიბვლელი, მაგრამ საცდური აზროვნებიდან, რომლებსაც აღთქმული მიწისკენ მიმავალ გზაზე შეხვდებიან.

7 მარტი

ხუთშაბათი
2024

დიდმარხვის ჟამის III კვირა [III]

წმ. პერპეტუა და ფელიციტა,
წამებულნი +203 კართაგენში, წ

იერ 7,23-28; ფს 94; ლკ 11,14-23

ვინცა რემთან არ აკრიბოს, ფანტავს ლკ 11,23

ბებიაჩემს უბრალო რწმენა ჰქონდა. ბევრს არ ლაპარაკობდა, მაგრამ ხანდახან იმ სიტყვებს მიმეორებდა, რასაც ასე რუდუნებით ინახავდა თავის გულში და რაც რწმენის გაძლიერებაში ეხმარებოდა: „მთელი ღამე ვშრომობდით და ვერაფერი დავიჭირეთ“. მან თავისი დღეგრძელი ცხოვრებით გამოსცადა ის, რომ იესოს გარეშე ვერანაირ კეთილ საქმეს ვერ შეასხამდა ხორცს.

მარტი

წმ. იოანე ღმრთისა, ჰოსპიტალიერ ძმათა დამაარსებელი, +1550 გრენადაში

ოს 14,2-10; ფს 80; მარ 12,28-34

ქალთა საერთაშორისო დღე

არ არსებობს ამაზე დიდი მცნება მარ 12,31

იესო რჯულის მცოდნეს პასუხად იმ ფრაზას შეახსენებს, რასაც დღეში სამჯერ იმეორებს ყოველი ებრაელი: „უფალი, ღმერთი ჩვენი, ერთადერთი უფალია. გიყვარდეს მთელი შენი გულით უფალი, ღმერთი შენი...“. შემდეგ თავისი ავტორიტეტით ამატებს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. და კვლავ: “ამათზე დიდი მცნება არ არსებობს”. ამ ორ მცნებას ერთ მცნებად აერთიანებს, როგორც მონეტის ორი მხარეს. ერთი მეორის გარეშე ვერ იქნება.

9 მარტი

შაბათი
2024

დიდმარხვის ჟამის III კვირა [III] ი

*წმ. ფრანცისკა რომაელი, ოჯახის დედა, შემდგომ მონა-
ზონი, +1440 რომში*

ოკ 6,1-6; ფს 50; ლკ 18,9-14

ღმერთო, შეგიწყალე მე ცოდვილი ლკ 18,13

იესოს მიერ იგავში მოყვანილ ლოცვას
მდაბალი გულით აღავლენს მებაჟე. ღმე-
რთისთვის მოსაწონია ეს ვედრება და
შეისმენს მას, იმ წუთებშიც, როდესაც ჩვენ წა-
რმოვთქვამთ მთელი ჭეშმარიტებით. ღმე-
რთი შეგვეწევა თავისი პატიებით, მასთან და
მოყვასებთან ჩვენი კავშირების განახლებით.
მადლობა, უფალო!

10 კვირა 2024

მაკრი

დიდმარხვის IV კვირადღე, «ბ», [IV], ვ

2ნეშტ 36,14-16.19-23; ფს 136; ეფეს 2,4-10; იო 3,14-21

ადამიანებმა ნათელზე მეტად ბნელი შეიყვარეს

იო 3,19

რატომ ხდება, მამაო, რომ შენი სიყვარულით
შექმნილი ადამიანები და მათ შორის მეც,
ხანდახან იმ სიყვარულს ვაჩვენებთ და იმას
ვეძებთ, რაც შენთვის მიუღებელია და ჩვენც
გვაზიანებს? ყველანი ვიშვით ადამის გზაზე,
რომელიც შენ დაგცილდა... შენ კი, ჩვენი
გულების შენსკენ მისაზიდად, სიცოცხლისა
და სიხარულის მოსანიჭებლად, შენი
ერთადერთი ძე – იესო გვიბოძე!
გულით გმადლობ, უფალო!

11 ორშაბათი 2024

მარტი

ეს 65,17-21; ფს 29; იო 4,43-54

ცოცხალია შენი ძე იო 4,51

იესო ისევე ისმენს ჩვენს თხოვნას, სიყვა-
რულიდან და ტანჯვიდან აღმოცენებულს,
როგორც შეისმინა მეფის ვეზირის თხოვნა
საკუთარ შვილზე. თუკი მისი არსებობით და
მისი სიტყვით ვსასოებთ, ვიგრძნობთ კიდევაც
მის სიკეთეს და ძალას და ჭეშმარიტად ვირ-
წმუნებთ მას სამარადჟამოდ.

12 სამშაბათი 2024

მარტი

ეზეკ 47,1-9.12; ფს 45; იო 5,1-16

აიღო თავისი საკაცე და დაიწყო სიარული იო 5,9

მრავალი წელი იტანჯებოდა ეს კაცი ამ დაავადებით. იმ აუზის მახლობლად იყო, რომლის წყალიც კურნავდა, მაგრამ გვერდით არავინ ჰყავდა, ვინც წყალში ჩაყვინთვაში დაეხმარებოდა... იესომ დაინახა იგი. მეც და შენც, დარწმუნებული ვარ, ბევრჯერ გვიგრძვნია იესოს მზერა და მისი წყალობით, ჩვენივე ტვირთით, დავდგომივართ სიყვარულის გზას.

13 ოთხშაბათი: 2024

მარტი

ეს 49,8-15; ფს 144; იო 5,17-30

ანუ ეშმაკს უფალი თავის ერს ეს 49,13

ამ დიდმარხვის ჟამს, სულიწმიდის შემწეობით, ჩვენი ცხოვრება მამის ნებას შევუსაბამოთ და ვემსგავსოთ მას, როგორც ჭეშმარიტი შვილები. უფალი, როგორც მგრნობიარე მამა, შეამჩნევს თუ არა ჩვენს ძალისხმევას, მაშინვე მოგვეგებება, გვანუგეშებს და წყალობებით აგვავსებს!

14 ხუთშაბათი 2024

მარტი

გამ 32,7-14; ფს 105; იო 5,31-47

იქი ანთებული და მანათობელი ლამპარი იყო იო 5,35

იესო ებრაელი ხალხის მეთაურებს ესაუბრე-
ბა, მათ არც იესო უყვარდათ და არც იოანე
ნათლისმცემელი, ვისაც მასთან შესახვედად
უნდა განემზადებინა კაცთა გულები. სწორედ
ასეა, როდესაც ჩვენი მწყემსები არ გვიყვარს,
რომლებიც სახარებით გვმოძღვრავენ, სინა-
მდვილეში, არც იესო გვიყვარს.

15 პარასკევი 2024

მარტი

სიბრძ 2,1.12-22; ფს 33; იო 7,1-2.10.25-30

რემით არ მოვსულვარ იო 7,28

იესო კარვების დღესასწაულისთვის ემზადება. ტაძარში ქადაგებს და ბევრს აოცებს წმინდა წერილზე თავისი ცოდნით. ის თავისი მამის სიტყვაა, რასაც ყრმობის ასაკიდან ისმენდა, თავის სწავლებაში ციტირებდა და სისრულეში მოჰყავდა იგი.

16 მარტი

შაბათი
2024

დიდმარხვის ჟამის IV კვირა [IV] ი

(3.III) წმ. იოანე IV (V) ოქროპირ კათალიკოსი, +1048

იერ 11,18-20; ფს 7; იო 7,40-53

შენ მოკვდე რემი საქმე

იერ 11,20

იერემია წინასწარმეტყველის მსგავსად, განსაცდელის, ადამიანთაგან უგულებელყოფის წუთებში იესოც მამას ანდობდა საკუთარ თავს. არც არასოდეს გაცრუებია იმედი: მამის ყოვლისშემძლე სიყვარულმა აქცია იგი ყოველი კაცის კურთხევად და ხსნად, თვით თავისი ჯალათებისთვის. ერთ-ერთი მათგანი, ჯვრის ფერხთით მდგომი, ასე წამოიძახებს: „ჭეშმარიტად ღვთის ძე იყო ეს კაცი“!

17 ივნისი 2024

მაგალითი

დიდმარხვის V კვირადღე, «ბ», [I], ი

[წმ. პატრიციუსი, ეპისკოპოსი, ირლანდიის მოციქული, +461]

იერ 31,31-34; ფს 50; ებრ 5,7-9; იო 12,20-33

ქანვადიდე და კვლავაც ქანვადიდებ

იო 12,28

იესო, შენ ყოველთვის გინდოდა მამის ნების სისრულეში მოყვანა: მისი გულთამხილველი იყავი, მარადისობიდან ხარობდი მისი სიყვარულით, უწყოდი, რომ მამის სახელის – საყოველთაო სიყვარულის განდიდება, ჯვარზე სიკვდილს ნიშნავდა შენთვის. შენ მის სახელს ევედრებოდი და მისგან იღებდი ძალას.

დიდმარხვის ჟამის V კვირა [I] ი

წმ. კირილე, იერუსალემის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +386

დან 13,1-9.15-17.19-30.33-62; ფს 22; იო 8,1-11

არცა მე კმენ მსჯავრს;
წადი და ამიერიდან ნუღარ შესცოდავ. იო 8,11

მეც მსურს მოვისმინო ეს სიტყვები იესოს პირიდან! ახლოა აღდგომა: აღსარების სათქმელი დრო! დარწმუნებული ვარ, იესო შემინდობს და მეც მეტყვის: „აღარ შესცოდო!“, ანუ: „წუთითაც არ მომშორდე“!

19 მარტი

სამშაბათი
2024

წმ. იოსები, ნ. ქ. მარიამის მეუღლე **დდ, [ს], თ**

2მეფ7,4-5.12-14.16; ფს88; რომ4,13.16-18.22; მთ1,16.18-21.24 ან, ლკ2,41-51

არლის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იოსებ, ნუ ეშინოდეს მარიამის,
შენი ცოლის მიღება მთ 1,20

წმინდა იოსებს „მართალ კაცს“ უწოდებდნენ, რადგანაც დღენიადაგ ღვთის ნებას ეძებდა და მის მიერ ცხოვრობდა. ამიტომაც ებოძა მამის შეწევნა, ცხოველმყოფელი და ნათელი გზით: უბოძა შუქი და სიმშვიდე მიჰგვარა, რათა თავის მეუღლედ მიეღო ქალწული მარიამი.

დან 3,14-20.46-50.91-92.95; საგ.: დან 3,52-56; იო 8,31-42

თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფენი ხართ

იო 8,31

რარიგ გვაამებს და გვანახლებს იესო, შენი საუბარი: „... დარჩით ჩემს სიტყვაში“! მე შემიძლია შენი სიტყვის შუქზე ვიცხოვრო; შემიძლია დავისვენო და ვიშრომო, ვიტანჯო და გავიხარო, შენი სიტყვის გულში დამარხვით და მისი მიყოლით. შენ აქ ხარ, უფალო იესო: ამის გამო ვეზიარები ჭეშმარიტ სიცოცხლეს, შვილობრივი და ძმური სიყვარულით სავსე სიცოცხლეს. მადლობა იესო!

21 ხუთშაბათი 2024

მარტი

დიდმარხვის ჟამის V კვირა [I] ი

დაბ 17,3-9; ფს 104; იო 8,51-59

დიდად ეაკამრაფლებ დაბ 17,6

აბრაამი სწორედ უფალმა აქცია ნაყოფიერად, ვისაც მთელი გულით ესავდა: მისი მოდგმიდან უნდა შობილიყო იესო, კაცთა მხსნელი! თუმცა თავისი ხალხის წინამძღოლნი მას განუდგებოდნენ, უფრო მეტიც... არ ირწმუნებდნენ, სულგრძელ კავშირს ვერ დაამყარებდნენ ღმერთთან.
გიღებ შენ, იესო და ვუწყი, რომ დღესაც ძალგიძს მამის გულში მამყოფო.

22 პარასკევი 2024

მარტი

დაბ 20,10-13; ფს 17; იო 10,31-42

ბევრი კარგი საქმე ვირჩენეთ იო 10,32

იესოს დევნიან, ის კი კვლავაც ცდილობს თავის მტრებს დაეხმაროს, შეახსენოს მათ თავისი სასწაულები, რისი თვითმხილველნიც თავად იყვნენ. იესოს სურდა, რომ ეღიარებინათ იგი ნანატრ მესიად, მაცხოვრად, რათა შეეცნოთ ჭეშმარიტი სიცოცხლე... მაგრამ მას მხოლოდ გულით მდაბალნი აღიარებენ.

(10.III) წმ. ღირსი იოანე ხახულელი, მონაზონი, X-XIსს; წმ. ტურიბიუს მონგროვეხოელი, ლიმის ეპისკოპოსი, +1606

ეზეკ 37,21-28; საგ.: იერ 31,10-13; იო 11,45-57

მათ შორის იქნება რემი საკანე ეზ 37,27

ხვალიდან წმინდა კვირას შევუდგებით: შეიძლება ითქვას, რომ იესოს პასექში შევდივართ. დღეს, სულიწმიდის შეწევნით, ეზეკიელის წიგნიდან ვკითხულობთ ნაწყვეტს, რომელიც ჩვენში აღძრავს უფალზე სამადლობლის თქმის სურვილს იმ განსაცვიფრებელი რეალობის გამო, რაც თავისი სისხლის ფასად მოგვიმზადა: უფალი ჩვენ შორის დამკვიდრდება და აღარასოდეს ვიქნებით მარტო.

24 კვირა 2024

მარტი

ბზობის კვირადღე, «ბ», [II], წ

მარ 11,1-10 ან, იო12,12-16;
ეს 50,4-7; ფს 21; ფილიპ 2,6-11; ვნება უფლისა: მარ 14,1–15,47

[წამებულ მისიონერთა ხსოვნისათვის
ლოცვისა და მარხვის დღე]

იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ რაფარდეთ ცანსაცდელში მარ 14,38

გმადლობ, იესო, რომ ლოცვა შემასწავლე! ვიდრე ვნებას მიეცემოდი, შენ მამას ეძებდი: მისი ნების აღსრულება გეწადა მთელი გულით. მიიღე კიდევაც მისი შეწევნა: მძიმე განსაცდელის და ჯვარზე აღსასრულის წუთებში, მორჩილ ძედ დარჩი. იესო, მეც გულმოდგინედ ვილოცებ ამ ნათლის დიდ კვირაში.

25 ორშაბათი 2024

მარტი

დიდი ორშაბათი [II], ი

(12.III) წმ. მეფე დემეტრე თავდადებული, წამებული +1289

ეს 42,1-7; ფს 26; იო 12,1-11

(უფლის ხარება, აღდგომის შვიდეულის გამო წელს აღინიშნება აღდგომის მეორე კვირის ორშაბათს, 8 აპრილს)

სახლი წელსაცხებლის სურნელებით აივსო. იო 12,3

ეს იყო სიყვარულის სურნელი, იმ სიყვარულისა, რომელიც იესოს შეშვენის: იგი მზად იყო, როგორც ჭეშმარიტ კრავს, თავი გაეწირა იმ ნანატრ პასექზე. მეც ამ სურნელით ავავსებ ჩემს ცხოვრებას. უფლისმიერი სიყვარულით შევიყვარებ მას და ყველა ჩემს მოყვასს, განსაკუთრებით, შეჭირვებულებს.

26 სამშაბათი 2024

მარტი

დიდი სამშაბათი [II], I

ეს 49,1-6; ფს 70; იო 13,21-33.36-38

მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)

ხალხთა ნათლად ექცევ შენ ეს 49,6

იესო, ვიდრე შენი მოწაფე გაგცემდა და მამისაგან ბოძებულ „ბარძიმს“ შესვამდი, შეუცნობელი იყო მისი დაპირება. შენ იტანჯებოდი: მშვიდად, თავმდაბლად, სიყვარულით; იმ წუთებში, როცა მეც მომივლენ ტანჯვის წუთებს, ამ აღთქმას გავიხსენებ იესო და მამის წყალობით, მეც სინათლედ ვიქცევი მრავალთათვის!

27 ოთხშაბათი: 2024

მარტი

დიდი ოთხშაბათი, [II], I
წმიდა მირონის კურთხევის წირვა თბილისში,
მარიამის აღყვანების საკათედრო ტაძარში

ეს 50,4-9; ფს 68; მთ 26,14-25

აჰა, უფალი ღმერთი შემეწევა ეს 50,9

ეს სიტყვა დევნილ იესოს ეხება, მისი წყალობით კი, ყოველ ჩაგრულს. მამის რწმენა ძალას მატებს მის შვილებს, რომ უერთგულონ მის ნებას ანუ შეიყვარონ ყოველი კაცი, განურჩევლად, თვით მტერიც კი.

28 ხუთშაბათი 2024

მარტი

დიდი ხუთშაბათი, [ს], თ

გამ 12,1-8.11-14; ფს 115; 1კორ 11,23-26; იო 13,1-15

უფლის სერობის წირვა

ყოველნი არა ხართ სუფთა იო 13,11

იესო თავისიანებთან არის, ფეხებს ბანს მათ. თავისი სიყვარულის სიტყვით განწმინდა ისინი. სამწუხაროდ, იუდამ უარყო მისი სიყვარული, არავისთვის უკითხავს რჩევა და თავის უფალს უღალატა.

მოდი, სულო წმიდავ, დაამარცხე ჩემი ამპარტავნება, მდაბალი გული მიბოძე და გარდამსახე ქრისტეს სხეულითა და სისხლით, რომლებიც ცოდვისაგან განწმენდის მიზნით მსხვერპლად იქნენ შეწირულნი.

29 პარასკევი 2024

მარტი

წითელი პარასკევი, [ს], წ

[(16.III) წმმ. ღირსნი პიმენ სალოსი და ანტონ მესხი, XIIIს]

ეს 52,13–53,12; ფს 30; ებრ 4,14–16; 5,7–9; იო 18,1–19,42

მძიმე მარხვის დღე. უფლის ჯვარზე სიკვდილის გასახსენებლად ამ დღის 15.00სთ-ზე ყველამ, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ, გამოყოს მდუმრებისა და ლოცვის დრო. შესაწირი წმ. მიწისთვის.

ეწერა ებრაულად, ლათინურად და ბერძნულად იო 19,20

ასეთი წარწერა განათავსეს
ჯვარცმული იესოს თავზე.
იესო, ვინც სიყვარულში კვდები, შენა
ხარ ღმერთის სიტყვა, ის ერთადერთი,
ვინც ღირსია ყველა ენაზე დაიწეროს,
ერთადერთი, ვისაც ცნობს ყოველი კაცის
გული! დღეს, მეც ვდგავარ ჯვრის ფერხთით,
რათა შენი სიყვარული წავიკითხო.

30 შაბათი 2024

მარტი

დიდი შაბათი [ს]

საპასექო ღამისთევა, დდ, [ს], თ

რომ 6,3–11; ფს 117; მარ 16,1–7

სასოებით მიეკარებოთ წყალობის ტახტს ებრ 4,16

ამ მოწოდებას თითოეულმა ჩვენგანმა უნდა უსმინოს, ვისაც გვწამს იესო, კაცთათვის მკვდარი და აღმდგარი. ის მამის მარჯვნივ ზის და მასთან შუამდგომლობს, როგორც მეოხი, მფარველი და დიდი მღვდელმთავარი. გეთაყვანები, იესო: შენ, სიკვდილში შესულმა, სამარხში დასვენება ინებე, რათა მეც მიგეყვანე მამის წიაღში, მის ნათელში.

31 კვირა 2024

მაგტი

პასექის კვირადღე, უფლის აღდგომა
«ბ», დდ, [ს], თ

საქმ 10,34.37-43; ფს 117; Col 3,1-4 ან, 1კორ 5,6-8; იო 20,1-9 ან, მარ 16,1-7 ან, ლკ 24,13-35

ჭეშმარიტად აღდგა უფალი ლკ 24,34

აღდგომის მწუხრია. ოთახში, სერობად შეკრებილი მოწაფეები, ხარობენ იმ ამბით, რომ აღდგა იესო და სიმონს ეჩვენა. ორი ემაუსელი მოწაფე, რომლებიც „მაშინვე ადგნენ და იერუსალიმში გამობრუნდნენ", ამბობდნენ, რომ შეიცნეს იესო მას შემდეგ, რაც წმინდა წერილი განუმარტა და პური გატეხა. უფალი აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! ყოველი კაცის სიცოცხლე განახლდა! ალელუია!